

# სახაზინო სამსახურის

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2015 წლის იანვარ-ოქტომბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 7 965 248.0 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 6 653 533.5 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 227 692.4 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 52 365.7 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 1 031 656.5 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-ოქტომბერში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (6 653 533.5 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (7 950 920.0 ათასი ლარი) 83.7%;

– გადასახადების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 7 400 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 6 193 892.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 83.7%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 901 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 510 345.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.5%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 950 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 638 778.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 84%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (871 192.0 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (951 000.0 ათასი ლარი) 91.6%;

„სხვა გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია შეადგინა 375.1 ათასი ლარი;

- წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 4 406 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3 607 308.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 81.9%-ია; მათ შორის:
  - „დამატებული ღირებულების გადასახადის“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 506 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 897 371.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 82.6%;
  - „აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 709 936.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (900 000.0 ათასი ლარი) 78.9%-ია;
- წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 68 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 56 411.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 83%-ია;
- „სხვა გადასახადების“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 25 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 19 827.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 79.3%.
  - გრანტების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 255 920.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 215 082.5 ათასი ლარი (რაც გეგმის 84%-ია); მათ შორის:
    - ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 65 525.6 ათასი ლარი;
    - სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 12 361.3 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;
      - საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 87 040.6 ათასი ლარი;
      - სხვა გრანტები – 7 556.0 ათასი ლარი;
      - „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 42 599.0 ათასი ლარი.
  - „სხვა შემოსავლების“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 295 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 244 558.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 82.9%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი

დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 14 498.5 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2015 წლის იანვარ-ოქტომბერში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (227 692.4 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (235 000.0 ათასი ლარი) 96.9%;

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 52 365.7 ათასი ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მოცულობის (90 000.0 ათასი ლარი) 58.2%-ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 52 361.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (90 000.0 ათასი ლარი) 58.2%.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 1 031 656.5 ათასი ლარი (რაც გეგმის – 1 624 080.0 ათასი ლარის 63.5%-ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 343 891.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (500 000.0 ათასი ლარი) 68.8%-ია;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 687 764.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 124 080.0 ათასი ლარი) 61.2%-ია, მათ შორის:

– ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი – 293 822.2 ათასი ლარი;

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 169 473.1 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 224 469.0 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 250 287.8 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა კონვერტირება და ხაზინის ერთიანი ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის,

დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 2 732.8 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 434 413.5 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 434 238.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 175.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 ნოემბრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 686 171.3 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 685 774.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) 396.8 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების თანახმად – 172 835.1 ათასი ლარი და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად – 99 996.0 ათასი ლარი (სულ 272 831.1 ათასი ლარი), სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 251 757.7 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2015 წლის იანვარ-ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 6 653 533.5 ათასი ლარის მოცულობით (წლიური გეგმა 7 950 920.0 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 6 563 274.1 ათასი ლარი (წლიური გეგმა 7 974 931.8 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 90 259.4 ათასი ლარი (დადებითი), (წლიური გეგმა -24 011.8 ათასი ლარი (უარყოფითი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 242 824.8 ათასი ლარი: მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 227 692.4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 470 517.2 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -152 565.5 ათასი ლარი (უარყოფითი), (წლიური გეგმა -571 886.9 ათასი ლარი (უარყოფითი).

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №430 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2015 წლის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 9 575 000.0 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები 8 856 000.0 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 719 000.0 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 8 475 685.7 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 7 713 490.3 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 7 178 308.6 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 535 181.7 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 91%, ხოლო გეგმის 80.6%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2015 წლის იანვარ-ოქტომბრის მთლიან ხარჯებში შეადგინა 93.1%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 6.9%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის

ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-ოქტომბერში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის გეგმით გათვალისწინებულია 1 376 086.6 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 1 285 804.6 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 119 160.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 87%-ს და საგემო მაჩვენებლის 81.3%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2015 წლის გეგმით განსაზღვრულია 930 917.1 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 789 174.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 724 618.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 91.8%-ს და საგემო მაჩვენებლის 77.8%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2015 წლის გეგმით გათვალისწინებულია 337 073.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 305 552.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 292 094.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95.6%-ს და საგემო მაჩვენებლის 86.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 138 971.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (152 429.7 ათასი ლარი) 91.2%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 153 122.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (153 122.9 ათასი ლარი) 100.0%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის გეგმამ შეადგინა 229 259.5 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 208 487.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 198 151.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95%-ს და გეგმის 86.4%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 28 710.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 27 929.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.3% და ვალდებულების 100%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის გეგმამ შეადგინა 1 268 737.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 025 390.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 027 625.3 ათასი ლარი) 99.8% და საგეგმო მაჩვენებლის 80.8%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 1 005 190.6 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (1 006 059.1 ათასი ლარი) 99.9%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2015 წლის იანვარ-ოქტომბერში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 2 300 787.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (2 653 171.1 ათასი ლარი) 86.7% და საგეგმო პარამეტრის (2 697 573.5 ათასი ლარი) 85.3%-ია.

აღნიშნული მუხლიდან სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის გეგმით განისაზღვრა 2 021 774.5 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 1 674 291.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 82.8%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 154 237.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 389 905.6 ათასი ლარი) 83% და გეგმის (1 389 969.0 ათასი ლარი) 83%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 613 603.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 505 684.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 82.4% და ვალდებულების (611 737.1 ათასი ლარი) 82.7%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 631 798.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 593 519.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.5% და ვალდებულების (594 567.3 ათასი ლარი) 99.8%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2015 წლის გეგმა განისაზღვრა 1 135 283.9 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 001 119.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 903 072.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 90.2%-ს და გეგმის 79.5%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 430 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 350 223.9 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (430 000.0 ათასი ლარი) 81.4%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 50 000.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა

49 283.8 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (49 283.8 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 100% და საგეგმო მაჩვენებლის 98.6%.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის გეგმით განისაზღვრა 782 875.1 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 516 629.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 470 517.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 91.1%-ს და გეგმის 60.1%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 474 005.2 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 288 072.9 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (286 196.3 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.3% და საგეგმო მაჩვენებლის – 60.4%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 391 204.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 328 521.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 328 137.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.9%-ს და გეგმის 83.9%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 22 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 22 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 41 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (52 500.0 ათასი ლარი) 78.1% და ვალდებულების 100%-ია.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2015 წლის გეგმით განსაზღვრულია 425 988.4 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 359 599.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 351 561.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.8% და გეგმის 82.5%-ია. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 311 817.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (311 817.9 ათასი ლარი) 100%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 39 743.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (47 781.8 ათასი ლარი) 83.2%-ია.

ორგანიზაციული კოდეხის მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა



სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 8 886.4 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 8 544.8 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა“ – 114.5 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 227.1 ათასი ლარი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2015 წლის პირველი ნოემბრისთვის შეადგინა 93.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

## **სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში**

2015 წლის იანვარ-ოქტომბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 7 033 791.3 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 660 516.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (2 030 106.6 ათასი ლარი) 81.8%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 283 127.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (345 810.7 ათასი ლარი) 81.9% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 17%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა – 292 020.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (337 000.0 ათასი ლარი) 86.6% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 17.6%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის გეგმით გათვალისწინებულია 646 072.1 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა

შეადგინა 507 320.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 78.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (7 033 791.3 ათასი ლარი) 7.2%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2015 წლის გეგმით განსაზღვრულია 948 772.2 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 752 538.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 79.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.7%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 522 803.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (642 969.5 ათასი ლარი) 81.3%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (82 066.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (109 534.7 ათასი ლარი) 74.9%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 93 739.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (117 578.5 ათასი ლარი) 79.7%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2015 წლის გეგმით გათვალისწინებულია 1 049 183.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 732 617.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 69.8%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (30 589.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (46 871.8 ათასი ლარი) 65.3%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (179 659.0 ათასი ლარი), გეგმის (199 195.7 ათასი ლარი) 90.2% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 658 710.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 429 835.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 65.2%.

გარემოს დაცვის ხაზით 2015 წლის გეგმით გათვალისწინებულია 45 643.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 34 328.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 75.2%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2015 წლის გეგმით გათვალისწინებულია 54 239.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 36 582.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 67.4%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 34 380.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 25 657.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 74.6%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2015 წლის გეგმით განსაზღვრულია 739 332.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 691 173.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.8%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 521 706.1 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო

ხარჯმა (499 557.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 95.7%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (119 133.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (127 483.5 ათასი ლარი) 93.4%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა 12 369.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (15 897.2 ათასი ლარი) 77.8%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 183 135.9 ათასი ლარით, რაც 2015 წლის გეგმიური მაჩვენებლის (212 875.4 ათასი ლარი) 86%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 42 255.5 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (36 688.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 86.8%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად წლიური გეგმით განსაზღვრულია 854 512.1 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 640 752.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 75% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.1%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 388 463.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (477 752.0 ათასი ლარი) 81.3%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 92 177.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (130 075.3 ათასი ლარი) 70.9%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით წლიური გეგმით განსაზღვრულია 2 177 069.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 794 827.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 82.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 25.5%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 1 390 255.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 154 504.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 83%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 520 735.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (633 246.9 ათასი ლარი) 82.2%-ია.

## **საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები**

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდათვრამეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 3 426.7 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 2 067.5 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით შეადგინა 1 359.2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოთხმოცდაცხრა შემთხვევაში შეადგინა სულ 112 046.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 99 205.8 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 1 ნოემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 12 841.1 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

## **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდასამ შემთხვევაში შეადგინა სულ 320 366.1 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 302 726.3 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 1 ნოემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 17 639.8 ათასი ლარი.

## **წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა**

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გათვალისწინებული იქნა 14 796.1 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 12 450.6 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 8 010.1 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 6 960.4 ათასი ლარი. მათ შორის: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 6 061.0 ათასი ლარი (გეგმა – 7 000.0 ათასი ლარი); სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“

საგარეო-სხვა კრედიტორული დავალიანების დაფარვის გეგმამ შეადგინა 1 010.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა – 899.4 ათასი ლარი.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 18 000.0 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3 781.4 ათასი ლარი; აქედან: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად გამოეყო 174.7 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 174.7 ათასი ლარი), ხოლო სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 12 062.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 12 062.0 ათასი ლარი).

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, გაწეული ხარჯი (მათ შორის მიზნობრივი გრანტის ფარგლებშიც) (გეგმა – 848.0 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 1 534.2 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარვად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 3 781.4 ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2015 წლის იანვარ-ოქტომბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.